

ნინო ხიდიშელი
მართვისა და კომუნიკაციის საერთაშორისო
სასწავლო უნივერსიტეტი

ქართული დამწერლობა კრებული
„ქართული ანბანი – 33 ემოცია“ კვლადაკვალ

„ჩვენი ანბანი იხატება, არ იწერება.
ყველა ქართველი მხატვარია“.
ქეთი ნიჟარაძე

ჩვენი ანბანის, ენისა და დამწერლობის უნიკალურობაზე, განსაკუთრებულობასა და სიძველეზე მრავალი წელია არა მხოლოდ ქართველი მეცნიერები წერენ ნაშრომებს, ნარკვევებს, არამედ უცხოელი მკვლევრებიც.

ეროვნულ სიმდიდრეს, რაც თავის თავში ქართულ აზროვნებასაც გულისხმობს, სხვადასხვა დროს არაერთმა მწერალმა თუ პოეტმა მიუძღვნა როგორც მხატვრული ნაწარმოებები, ასევე პუბლიცისტური წერილები და ნარკვევები. თამამად შეიძლება ითქვას, თითქმის არ დარჩენილია მწერალი, პოეტი, რომელიც თავის შემოქმედებაში აღნიშნულ საკითხს თუნდაც მცირე დოზით მაინც არ შეხებოდა.

ქართული ანბანის მნიშვნელობაზე მსჯელობა აქტუალობას არასოდეს კარგავს. ამის დადასტურებაა თუნდაც რამდენიმე საგულისხმო ფაქტი. 2014 წელს ცნობილი გახდა, რომ ჩვენი ანბანი მსოფლიოს ხუთ ლამაზ დამწერლობას შორის მესამე ადგილზეა, ხოლო იუნესკომ 2016 წელს „ქართული ანბანის სამი სახეობის ცოცხალი კულტურა“ არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის წარმომადგენლობით ნუსხაში შეიტანა. 2018 წელს გერმანიაში, ოფენბახის შრიფტის მუზეუმში ქართული ანბანისადმი მიძღვნილი გამოფენა გაიხსნა. აქ წარმოდგენილი გახლდათ უძველესი დამწერლობის ნიმუშები მე-5 საუკუნიდან მოყოლებული და ქართველი კალიგრაფების თანამედროვე ნიმუშელებით დამთავრებული. გამოფენაზე ძირითადი აქტენტი ქართულ შრიფტზე იყო ფოკუსირებული, შრიფტზე, რომელიც თვალნათლივ წარმოაჩენს ქართველების თვითმყოფად ლიტერატურულ გარემოს.

ქართული ანბანის განვითარების ისტორიაში მასშტაბური, შთამბეჭდავი მოვლენა გახლდათ 2018 წელს გამართული ფრანკფურტის წიგნის ბაზრობა, სადაც საქართვე-

ლო საპატიო სტუმრის სტატუსით წარსდგა მსოფლიო საზოგადოების წინაშე. ჩვენს ანბანს განსაკუთრებული დატვირთვა შესძინა ქართულმა პავილიონმა, რომელიც იყო კონცეპტუალური დიზაინის – ქართული ანბანის ასოების მოხაზულობით შექმნილი.

ფრანკფურტის წიგნის ფესტივალის ფარგლებში წარდგენილმა კრებულმა, წიგნმა „ქართული ანბანი – 33 ემოცია“ ჩვენი ანბანის უნიკალურობაზე კიდევ ერთხელ ააღაპარა მსოფლიო კულტურული საზოგადოება. სიტყვაკაზმული მწერლობა, კეთილხმოვანი ენა ფართო საზოგადოებამ შეიცნო. ჩვენი მოხსენებების თემა სწორედ აღნიშნულ კრებულს ეხმიანება. კვლევის მიზანია, შევისწავლოთ ქართულ ანბანზე 33 თანამედროვე ქართველი მწერლისა თუ პოეტის მიერ განსხვავებული მწერლური ოსტატობით, ხელწერით შექმნილი ტექსტები და გამოვკვეთოთ, თუ რაზე აკეთებენ ისინი აქცენტს ჩვენი თვითმყოფადობისა და იდენტობის განმსაზღვრელ ძირითად ნიშაზე წერისას. ამასთანავე, შედარებითი ანალიზის საფუძველზე წარმოვაჩენთ მათი წინამორბედების, მე-20 საუკუნის კლასიკოს შემოქმედთა ნააზრევს ქართული სამყაროს შემმეცნებელზე.

კვლევის ამგვარად წარმართვა საშუალებას მოგვცემს, გავაანალიზოთ სხვადასხვა თაობის ქართველი მოღვაწეების განსხვავებული ფორმით თუ სტილით, დამოკიდებულებით და ემოციით გამოხატული ნააზრევი ქართულ ენასა თუ ქართულ დამწერლობაზე, „აღამიანად ყოფნის ნიშანზე“, შევისწავლოთ შერჩეული საკითხი და წარმოვადგინოთ ჩვენი დასკვნები.

ანთოლოგიის თითოეულმა ავტორმა მათთვის განკუთვნილ ასო-ბგერაზე დაწეებული სიტყვით ააგეს სხვადასხვა ფორმის, სტილის, მოცულობის, მხატვრული ინდივიდუალობით გამორჩეული ტექსტები. წინამდებარე ნაშრომში რამდენიმე მათგანზე შევჩერდებით.

დათო ტურაშვილმა ქართველი ერის სიმდიდრეს გაუსვა ხაზი და აღნიშნა, რომ მსოფლიოში მხოლოდ საქართველოს აქვს დამწერლობის სამი სახეობა: ასომთავრული, ნუსხური და მხედრული. იქვე დასძინა: „ასეთი სიმდიდრე მართლა მხოლოდ ჩვენ, ქართველებს გვეკუთვნის და სამწუხაროა, რომ ამის გამო სათანადოდ მაინც ვერ ვამაყობთ“ (ტურაშვილი 2018: 100). ქეთი ნიჟარაძის ნაზრევით: „ვწერ ქართულად – ნიშნავს, ვხატავ. ვხატავ ანბანით, რომელიც ჩვენს სამშობლოში ქრისტიანობის მარცვლებად მიმოიბნა და ნოყიერ ნიადაგზე რწმენის მარადიულ ყლორტებად ამოიზარდა, ვხატავ 33 რბილი ფუნჯით, რომელიც საუკუნეების განმავლობაში იცვლებოდა და მაინც ინარჩუნებდა მთლიანობას ისევე, როგორც ჩვენი ქვეყანა (ნიჟარაძე 2018: 20).

ანბანთქებაში თ ასო-ნიშნის ავტორმა გიორგი კეკელიძემ ენის როლსა და მნიშვნელობაზე გაამახვილა ყურადღება და თავისი ნაფიქრი ძალდაუტანებლად გაგვიზიარა: „თუ რამე არის აღამიანად ყოფნის ნიშანი, ეს ენა და ანბანია. ენა, როგორც ფიქრის და

მერე ფიქრის გაზიარების ინსტრუმენტი, ანბანი, როგორც ერთგვარი ყალიბი ამ ინსტრუმენტისა“ (კეკელიძე 2018).

ნინო ხარატიშვილს, მაია სარიშვილს და გაბა ნახუცერიშვილს ანბანზე წერისას მათი ქართულ ასოებთან პირველი შეხება ახსენდებათ – დრო, როდესაც წერას სწავლობდნენ. საოცარი სიყვარულია გამოხატული მაია სარიშვილის სიტყვებში. ამონარიდი: „ლიფსიტებივით უმწეოდ იყურებოდნენ დამფრთხალი ასოები ჩემი სქელი რვეულის პირველ ფურცლებზე, როცა წერას ვსწავლობდი. ბოლო ფურცლები კი ყვავილების ბალებს გვანდნენ უკვე, სადაც პატარა, გაუწაფავი ხელის მიზეზით, ეს ერთმანეთზე დიდი წვალეებით გადაბმული ასოები მცენარეთა ნორჩი ღეროებივით იხრებოდნენ აქეთ-იქით, თითქოს ამ ბაღში ნიაგი იპარებოდა ზოგჯერ“ (სარიშვილი 2018: 30).

მწერალი ოთარ ჯირკვალიშვილი საინტერესოდ საუბრობს ქართულ პოეტურ ენაზე. საგულისხმოა მისი ნააზრევი მშობლიურ ანბანზე: „ქართული ანბანის თითოეული ასო-ნიშანი სულიერი კულტურის სამშენებლო მასალაა, დროსავით გამძლე, უბრალო, დამრგვალებული, უკამო, დასრულებული, რომლის ბოლო ასოც პირველს უერთდება და ქმნის სიტყვათა უსასრულო ვერტიკალს“ (ჯირკვალიშვილი 2018:40).

კრებულში რ ასო-ნიშნის ავტორმა, მწერალმა როსტომ ჩხეიძემ ქართული ანბანის ისტორია ლაკონიურად, ამავე დროს მრავლისმომცველად გადმოგვცა და იქვე აღნიშნა, რომ ის ღვთის მაღლით არის შექმნილი, „რომელმან შექმნა ანბანი მაღლითა უფლისათა. ანბანი – ქართული სამყაროს ანარეკლი, ჩვენი ეროვნული ხასიათისა და ესთეტიკური ბუნების. სხვაგვარად ვერც შეიქმნებოდა ის ესთეტიკური სასწაული, ქართული ასომთავრული რომ ჰქვია და თავის შთამომავლობებსაც მოიდევნებს: ხუცურსა და მხედრულს – იმ სამ სახეობად გადაგვეშლება, თავისი პარტიტურაც რომ მოსდევს და ჩვენამდე მოაქვს შორეული მუსიკა, იდუმალი და დიდებული, შემძვრელი და ამაფორიანქებელი“ (ჩხეიძე 2018: 42). რომანისტმა და კრიტიკოსმა ქართული ენის დაცვაზე, მოფრთხილებაზე ხაზგასმით გაგვიზიარა მოსაზრება: „და რაღა კაცნი ვიქნებით, თუკი შესაფერისად ვერ ვუპატრონებთ და თავის ადგილს არ მიუუჩენთ საკაცობრიო კულტურის საგანძურში (ჩხეიძე 2018: 42).

პოეტმა რატი ამაღლობელმა განსხვავებული რაკურსით დაანახა მკითხველს მშობლიური ენა, ანბანი და საინტერესოდ ჩამოაყალიბა თავისი ხედვა: „ავტორის სიკარგე სწორედ ენასთან მჭიდრო კავშირზე მიუთითებს. ვინ არის სინამდვილეში პოეტი და მწერალი? ენის წარმომადგენელი. ვინ აირჩია ის? თუ ვინმემ კარგი მწერალი და პოეტი აირჩია, ეს პირველ ყოვლისა ენაა, რომელმაც მას თავისი შინაგანი, დაფარული, იდუმალი მხარეები გამოუჩინა, მასში გაცოცხლდა, მასში ამეტყველდა თავად“ (ამაღლობელი 2018: 44).

ქართველი პოეტის, ტარიელ ჭანტურიას აზრით, სწორედ ღვთაებრივი ქართული ენის სიდიადემ შეაქმნევინა შოთა რუსთაველს განუმეორებელი წიგნი „ვეფხისტყაოსა-

ნი“ და იქვე საგულისხმო მოსაზრებაც გაგვიზიარა: „მსოფლიოს დიდებული ქვეყნების დიდებულ ენებს შეუძლიათ ისესხონ, გადაიღონ ჩვენგან „ყ“, „წ“, „ჭ“, „ჯ“, და ჩვენსავით უბრალოდ და მარტივად გამოთქვან და წერონ სიტყვები, სადაც ეს ასოებია საჭირო: წყალიო, წუთიო, ჯილდოო, წყვილიო... ბრძენია ქართული ენა“ (ჭანტურია 2018: 46).

პროზაიკოსი მიხეილ ანთაძე იღუმალებით მოცული ენის შესახებ საინტერესოდ გვესაუბრება: „ჩემს მშობლიურ ენასთან და მის საოცარ სამსახოვან ანბანთან მიმართებაში ვიზიარებ იოანე ზოსიმესეულ ენიგმურ თეზას: „რამეთუ ყოველი საიდუმლო ამ ენასა შინა დამარხულ არს“ (ანთაძე 2018: 60).

ქართულ ანბანზე შექმნილ წიგნზე მსჯელობას ახალგაზრდა მწერლის, თეონა დოლენჯაშვილის სიტყვებით დავასრულებთ. ამონარიდი: „ქართული ენა ჩვენი მხედრობაა. ეს არის 33 ასოსგან შემდგარი მეომრების უძლეველი ჯარი, რომელიც საუკუნეების განმავლობაში იცავდა ჩვენს ქვეყანას, მის თვითმყოფადობასა და იდენტობას“ (დოლენჯაშვილი 2018:74).

კვლევის შემდგომ ნაწილში შევეხებით მეოცე საუკუნის რამდენიმე ქართველი პროზაიკოსისა თუ პოეტის ნაწერებს ქართულ დამწერლობაზე, ქართულ ანბანზე.

კონსტანტინე გამსახურდიამ 1933 წელს დაწერილ წერილში „როგორ ვწერ“ თავის მწერლურ სამზარეულოზე გაამახვილა ყურადღება. მან მკითხველს გააცნო არა მხოლოდ ის ასპექტები, თუ რა შემოქმედებით პროცესს გადის, როგორც მწერალი მხატვრული, ტექსტის შექმნისას, არამედ იქვე საინტერესო ჩანაწერი გააკეთა ჩვენს ანბანზეც: „წერისა და გადაწერის დროს მე დიდის სიყვარულით ვეთამაშები ქართულ ასოებს, გაოცებული შევსცქერი მათ. ყოველი ქართული ასო რაღაც უცნაური სიმბოლიკის აღმძვრელია ჩემს წარმოდგენაში. მე დიდის სიამოვნებით დავსწერდი ანბანთქებას. როცა წერით დავიღლები, თვალს შევაავლებ ხოლმე ასოებს, გაოცებული შევსცქერი ბნელი საუკუნეების საშოში უთარილოდ წარმოშობილ ფანტასტიურ იეროგლიფებს. თანაც მოშაინესავით მიხარია, რომ ღინგვისტები და ფილოლოგები ვერაუამს ჩასწვდებიან მათთვის ჩათქმულ საიდუმლოებას (გამსახურდია 1963: 520).

ირაკლი აბაშიძე ლექსში „ხმა კატამონთან“ წერდა:

„თუ რამ მზე მწამდა,
თუ რამ მზე მწავდა,
უტკბილეს დღეთა
უტკბილეს წამთა,
უტკბესი შენ ხარ, ენავ დედაო...
იბერის ენავ,
ენავ თამარის...
შენ, ნიჭო ჩემო,
სრბოლავ და ფრენავ,

დედაო ენავ, დედაო ენავ!“ (აბაშიძე 2007: 75)

გიორგი ლეონიძე ქართული ენის ერთ-ერთ ჰიმნში „დედაენა“ ქართულ ენას მშობელ დედასთან, პირველ სიყვარულთან აიგივებს და განუზომლად დიდ დატვირთვას ანიჭებს:

„დედის ძუძუ მეორე
სიყვარული პირველი,
ჩვენს აკვანში შემომჯდარი
მგალობელი ფრინველი.
ჩვენი წიგნი, ჩვენი დედა,
ჩვენი ენა ქართული,
ოქროსხმიან სიმებად
გულში ამოხლართული“ (ლეონიძე 1984: 327).

იოსებ ნონეშვილი 1950 წელს შექმნილ ლექსში „ჩვენი ენა სიტყვაქარგული“ რუსთველის, ილიასა და აკაკის ენას ფრთიან, ნაპერწკლიან, ბარაქიან ენას უწოდებს და მსგავსად გიორგი ლეონიძისა, დედასთან აიგივებს:

„გულუხვი, როგორც რთველში ვენახი,
საამო, როგორც შრიალი ხეთა...
ჩვენ ხომ მას დედა-ენას ვეძახით,
გვიყვარდეს, როგორც მშობელი დედა“ (ნონეშვილი 2007: 5).

შოთა ნიშნიანიძე ლექსში „გოგებაშვილის დედაენა“ ქართულ ენას ერის ბურჯს, ერის ღაზათს უწოდებს და ეიმედება, რომ მისი მეშვეობით არაერთი ჭეშმარიტი ქართველი გაიზრდება:

„მე კი მგონია, ფრესკებზე
ყრმა რომ ზის დედის კალთაში,
თუ „დედა ენას“ მიუტანთ,
დიდივით კრძალვით გადაშლის.
თითს გააყოლებს ასოებს:
ვაზის ღერწს, ნამგალს, ნიამორს,
ენას ქართულად აიდგამს
და იტყვის: აი, იაო“ (ნიშნიანიძე 20017: 10).

მუხრან მაჭავარიანი ქართული პოეზიის ერთ-ერთ გამორჩეულ ნიმუშში „ენა ქართული“ ჩვენს მშობლიურ ენას უმნიშვნელოვანს როლს ანიჭებს და ქართველების ღმერთთან, რწმენასთან აიგივებს, ხოლო იმავე თემატიკაზე შექმნილ ლექსში „მრავალჭირვარამგადანახადი“ აღნიშნავს, რომ თითოეულმა ქართველმა უნდა მოვახერხოთ ის, რომ დიდი ბრძოლით, ვაებით ჩვენამდე მოსულმა ქართულმა ენამ კვლავ იძლიეროს:

„მრავალჭირვარამგადანახადი,
უნატიფესი ენა ქართული,
ყველაზე კარგად რომლის ღაზათი
შოთას ლექსშია გამოხატული.
ვინ იცის,
მტარვალს გადურჩა რამდენს,
ვინ იცის, მტერი ჰყავდა რამდენი...
მაინც შეიძლო მოსვლა აქამდე,
არ აღმოიფხვრა,
არ გაცამტვერდა“ (მაჭავარიანი: 1989: 203).

ამდენად, ჩვენ მიერ განხილული მე-20 და 21-ე საუკუნეების მწერლების ნააზრევი უნიკალურ ქართულ ანბანზე, ქართულ დამწერლობაზე შინაარსობრივი თვალსაზრით, დამოკიდებულებით, შეფასებით, ისტორიული, კულტურული დატვირთვის მინიჭებით იდენტურია. განსხვავება ვლინდება მხოლოდ მხატვრულ ფორმასა თუ სტილში. საკვლევი საკითხის მნიშვნელობას კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი ჩვენ მიერ გაანალიზებული მხატვრულმა ტექსტებმა.

Nino Khidisheli

International University of Management and communication Alterbridge

The Role and Importance of the Georgian Script according to the Collection "Georgian Alphabet - 33 Emotions"

About the uniqueness, peculiarity and antiquity of our alphabet, language and script, not only Georgian scholars have been writing papers for many years, but foreign researchers as well.

At different times many writers and poets dedicated works of fiction, as well as publicistic letters and essays to national wealth, which also includes Georgian thinking in itself. It can be said boldly that there is almost no writer, poet, scientist who has not addressed aforementioned matter in his/her works, thoughts at least to a small degree. To clarify this, we can name some of them: Ioane Zosime, Galaktion Tabidze, Irakli Abashidze, Giorgi Leonidze, Vakhushti Kotetishvili, Geronti Kikodze, Mikheil Javakhishvili, Grigol Robakidze, Konstantine Gamsakhurdia, Ivane Javakhishvili, Ramaz Pataridze, Mukhran Machavariani, Shota Nishnianidze, Jemal Karchkhadze, etc.

The subject of research is relevant and actually. Discussion and studies about the importance of the Georgian alphabet never lose their relevance. It is confirmed by some recent noteworthy facts. In 2014, it became known that our alphabet was ranked third among the world's five most beautiful alphabets, and in 2016 UNESCO inscribed the "living culture of three writing systems of the Georgian alphabet" in the representative list of the intangible cultural heritage. A major, impressive event in the history of the development of the Georgian alphabet was the 2018 Frankfurt Book Fair, where Georgia, as a guest of honour, appeared before the world community and presentation was made about the book versifying alphabet "Georgian Alphabet - 33 Emotions". Wider society got acquainted with the literary writing, euphonic language. The topic of our paper responds to this collection; the book that is on the list of nominees for the 2019 Saba.

In the research we use comparative method, also methods of scientific analysis and synthesis.

The purpose of the research is to study texts about Georgian alphabet that are created by 33 contemporary Georgian writers or poets with different writing skills and ways of writing, and to emphasize what they are focusing on when writing about the key point defining our

individuality and identity. At the same time, on basis of comparative analysis, we present the thought of their predecessors, the classical creators about the cognizer of the Georgian world.

Conducting the research in this way we analyze the thoughts of Georgian creators of different generations about Georgian language, Georgian alphabet, Georgian script, "the point of being human" that are expressed in different forms and styles and with the different attitudes and emotions, to study the research topic in-depth and present our conclusions.

At the end about the research results we can say that the thoughts of the writers and poets of the 20th and 21st centuries discussed by us on the unique Georgian alphabet are identical in terms of content, attitude, evaluation, historical and cultural load on the Georgian alphabet. The difference is revealed only in the artistic form or style. The importance of the research issue was once again emphasized by the fictional texts we analyzed.

გამოყენებული ლიტერატურა:

აბაშიძე ი., 100 ლექსი, გამომცემლობა „ინტელექტი“, თბილისი, 2007

გამსახურდია კ., რვატომეული, ტ. VI, 1963, თბილისი

ლეონიძე გ., ქართული პოეზია, 1984, გამომცემლობა „ნაკადული“, თბილისი

მაჭავარიანი მ., მრავალჭირვარამგადანახადი, გამომცემლობა „მერანი“, თბილისი, 1989

ნიშნიანიძე შ., 100 ლექსი, გამომცემლობა „ინტელექტი“, თბილისი, 2007

ნონეშვილი ი., 100 ლექსი, გამომცემლობა „ინტელექტი“, თბილისი, 2007

„ქართული ანბანი 33 ემოცია“, გამომცემლობა „პალიტრა L“, თბილისი 2018

ჯავახიშვილი მ., მოთხრობები, წერილები, ჩანაწერები უბის წიგნაკიდან, გამომცემლობა თბილისი 2011